ანა მესხი

შუმერული *urudu* და ქართველური მეტალურგია

მეტალურგია ძველი ახლო აღმოსავლეთის ინტელექტუალური მემკვიდრეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელია. მიუხედავად ამისა, არც შუმერული მეტალურგიაა შუმერის ცივილიზაციის საკუთრება და არც მისი ტერმინოლოგია. შუმერს მადნეული საერთოდ არ გააჩნდა და იგი მადნეულის დამუშავების ტექნოლოგიასთან ერთად, ქვეყანაში უცხო ხალხის შეტანილია. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ ლითონდამუშავებასთან დაკავშირებული ტერმინების ეტიმოლოგია შუმერული ენის ფარგლებს გარეთ უნდა ვეძიოთ.

წინამდებარე ნაშრომი აღწერილ კრიტერიუმებზეა დაფუძნებული. იგი ფარდას ხდის სპილენძის შუმერული დასახელების *urudu* ქართველურ წარმომავლობას და ააშკარავებს მის რთულ ბუნებას. შუმერული *urudu* მომდინარეობს ორი ქართველური არქეტიპიდან: ***ურო*** ,,დიდი ჩაქუჩი" და მეგრული ***დუ,*** რომელიც რედუპლიკაციური სიტყვიდან ***დუდუ*** ,,თავი" მომდინარეობს. შესაბამისად, შუმერული *urudu* მარტივი სტრუქტურის სიტყვა კი არ არის, როგორც ეს ასირიოლოგებს მიაჩნიათ, არამედ ორი ქართველური არქეტიპისგან შემდგარი კომპოზიტია. მეტიც, *ურუდუ*-ს აღმნიშვნელი პროტო-შუმერული სადამწერლობო ნიშნები ქართველური *ურის* ფორმის ზუსტი ანალოგია. კვლევამ აჩვენა, რომ შუმერების კიდევ რამდენიმე არქაული ნიშანი — ZATU 737, ZATU 737xSZE˜a—კვლავ ქართველური ინსტრუმენტის, *ხვედას* დედანზეა აგებული.

აღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც ეს არაერთხელ იყო აღნიშნული ჩემს სხვა ნაშრომებში, შუმერის ტერიტორიის პირველ-მაცხოვრებლები ქართველური ტომები იყვნენ. სწორედ მათ ასწავლეს შუმერებს სპილენძის მეტალურგია და მისცეს ამ დარგის ტერმინოლოგიაც. ნაშრომში მიღებული დასკვნები სრულად შეესაბამება მელითონეობის საქმეში ასურულ თიხის ფირფიტებში, ბიბლიაში, კლასიკურ მწერლებთან თუ უცხოურ და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს ქართველური ტომების

პირველობის შესახებ. იმასაც დავამატებთ, რომ ამირანის ეპოსის გურულ ვერსიაში, ამირანი პირველი მეტალურგი და ამ საქმის პირველმასწავლებელია.